

BAG

ინდუქსია



Research

BAG ინდექსი



ბიზნეს
კლიმატი



დასაქმების
ბარომეტრი



ინვესტიციების
კვლევა

სარჩევი

BAG ინდექსი	1
BAG ბიზნეს კლიმატი	1
BAG ბიზნეს კლიმატი სექტორების მიხედვით	3
დასაქმება, გაყიდვები და გაყიდვების ფასები სექტორების მიხედვით	6
ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელი ფაქტორები	8
დაფინანსება	13
მოლოდინი გაცვლითი კურსის შესახებ	15
BAG დასაქმების ბარომეტრი	16
BAG ინვესტიციების კვლევა	20

საქართველოს ბიზნეს ასოციაციის (BAG) ინდექსი საქართველოს ბიზნეს ასოციაციის, პიემსი კვლევითი ცენტრისა და ifo ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტის ერთობლივი პროდუქტია. BAG ინდექსი მოიცავს BAG-ის წევრებისა და მათ ჯგუფში შემავალი კომპანიების ¹ მმართველი მენეჯერების შეფასებას BAG ბიზნეს კლიმატის, BAG დასაქმების ბარომეტრის და BAG საინვესტიციო გარემოს შესახებ. პიემსი კვლევითი ცენტრი BAG ინდექსს აქვეყნებს ყოველკვარტალურად.

BAG ბიზნეს კლიმატი

BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი გამოითვლება BAG-ის წევრებისა და მათ ჯგუფში შემავალი კომპანიების გამოკითხვის საფუძველზე. კითხვარის მეშვეობით კომპანიები აფასებენ თავიანთ მიმდინარე მდგომარეობას და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს ². კომპანიები, ასევე, აფასებენ გაყიდვების, გაყიდვების ფასების, დასაქმებულთა რაოდენობის და დასაქმებულთა ანაზღაურების ცვლილებას გასულ და მიმდინარე კვარტალებში და აფიქსირებენ მოლოდინს მომდევნო კვარტალისთვის. დამატებით, კომპანიები ასახელებენ თავიანთი ბიზნესსაქმიანობისთვის ხელშემშლელ ფაქტორებს, აფიქსირებენ გაცვლითი კურსის შესახებ არსებულ მოლოდინს, აფასებენ ფინანსებზე ხელმისაწვდომობას და საინვესტიციო გარემოს. აღნიშნული ინდექსის ფარგლებში, BAG-ის წევრები და მათ ჯგუფში შემავალი კომპანიები გადანაწილდა ოთხ სექტორში: ვაჭრობა, მომსახურება, მრეწველობა და მშენებლობა. 2025 წლის მესამე კვარტლის გამოკითხვა ჩატარდა 2025 წლის 19 აგვისტო - 11 სექტემბრის პერიოდში.




2025 წლის III კვარტალში, გამოკითხულმა კომპანიებმა თავიანთი მიმდინარე მდგომარეობა და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინი დადებითად შეაფასეს. 2025 წლის III კვარტალში, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელმა 43.2 პულა შეადგინა, მათ შორის, ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობის მაჩვენებელი 30.6, ხოლო ბიზნესის მოლოდინის მაჩვენებელი 56.5 პულაა.

2025 წლის III კვარტალში, 2025 წლის II კვარტალთან შედარებით, BAG ბიზნეს კლიმატი 11.5 ქულით გაუმჯობესდა. აღნიშნულ პერიოდში, გამოკითხული კომპანიების მიერ მიმდინარე მდგომარეობის შეფასება 12.1 ქულით გაიზარდა, ხოლო მომდევნო 6 თვის მოლოდინის მაჩვენებელი 10.8 ქულით გაუმჯობესდა.

2025 წლის III კვარტალის BAG ბიზნეს კლიმატის შედეგები 1.6 ქულით გაუარესდა 2024 წლის III კვარტალთან შედარებით. კერძოდ, მიმდინარე მდგომარეობის შეფასება 8.6 ქულით შემცირდა, ხოლო მომდევნო 6 თვის მოლოდინის შეფასება 6.0 ქულით გაუმჯობესდა (იხილეთ გრაფიკი 1).


¹ 2021 წლის I კვარტალში BAG ინდექსის მეთოდოლოგიაში განხორციელდა ცვლილება, კერძოდ, გაიზარდა გამოსაკითხი კომპანიების რაოდენობა: გამოსაკითხ კომპანიათა ბაზას დაემატა BAG-ის წევრების ჯგუფში შემავალი კომპანიები.

² საბალანსო მნიშვნელობა მიმდინარე მდგომარეობისთვის არის სხვაობა „კარგი“ და „ცუდი“ შეფასებების პროცენტულ წილებს შორის, ხოლო საბალანსო მნიშვნელობა მომდევნო ექვსი თვის მოლოდინისათვის არის სხვაობა „უფრო ხელსაყრელი“ და „ნაკლებად ხელსაყრელი“ შეფასებების პროცენტულ წილებს შორის. BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი წარმოადგენს ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობისა და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინის საბალანსო მნიშვნელობების ტრანსფორმირებულ საშუალოს. BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი შესაძლოა იყოს -100-სა და +100-ს შორის. +100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მიმდინარე მდგომარეობას და მოლოდინს აფასებს დადებითად, ხოლო -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მიმდინარე მდგომარეობას და მოლოდინს აფასებს უარყოფითად.



გრაფიკი 1: BAG ბიზნეს კლიმატი, ბიზნესის მოლოდინი და ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობა

2025 წლის III კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი და კვლავ **ბუმის** ფაზაში იმყოფება.




გრაფიკი 2: BAG ბიზნეს კლიმატი³

BAG ბიზნეს კლიმატი სექტორების მიხედვით

2025 წლის III კვარტალში **ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი** ყველა სექტორში დადებითია. 2025 წლის II კვარტალთან შედარებით, აღნიშნული მაჩვენებელი ყველა სექტორში გაიზარდა, ხოლო ყველაზე დიდი ზრდა დაფიქსირდა მომსახურების სექტორში (იხილეთ გრაფიკი 3).

³ გრაფიკი 2 საკოორდინატო სისტემაზე ასახავს დამოკიდებულებას ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობასა და ბიზნესის მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს შორის. თუკი ბიზნესები მიმდინარე მდგომარეობას აფასებენ უარყოფითად, ხოლო ექვსი თვის მოლოდინს დადებითად, კლიმატის მაჩვენებელი ხვდება „აღმასვლის“ მეოთხედში. თუკი მიმდინარე მდგომარეობა და მოლოდინი დადებითად ფასდება, მაჩვენებელი „ბუმის“ მეოთხედში ხვდება. იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე მდგომარეობა დადებითადაა შეფასებული, ხოლო მოლოდინი უარყოფითად, კლიმატის მაჩვენებელი ხვდება „დაღმასვლის“ მეოთხედში. ხოლო, თუ მიმდინარე მდგომარეობაც და მოლოდინიც უარყოფითადაა შეფასებული, მაჩვენებელი „რეცესიის“ მეოთხედში ხვდება. გრაფიკზე 2020-2024 წლებისთვის წარმოდგენილია საშუალო კვარტალური მაჩვენებლები.



გრაფიკი 3: ბიზნეს კლიმატი სექტორების მიხედვით 2025 წლის II და III კვარტალებში


2025 წლის III კვარტალში, 2025 წლის II კვარტალთან შედარებით, **ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობის** შეფასება გაუმჯობესებულია მშენებლობის სექტორში 21.8 ქულით, მომსახურების სექტორში - 19.6 ქულით და ვაჭრობის სექტორში - 7.4 ქულით, ხოლო მაჩვენებელი გაუარესდა მრეწველობის სექტორში 4.1 ქულით. რაც შეეხება **ბიზნესის მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს**, მოლოდინების შეფასება გაუმჯობესდა მომსახურების სექტორში 19.5 ქულით, მრეწველობის სექტორში - 17.9 ქულით და ვაჭრობის სექტორში - 5.9 ქულით, ხოლო გაუარესდა მშენებლობის სექტორში 16.4 ქულით.

2025 წლის III კვარტალში ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობის ყველაზე მაღალი შეფასება მომსახურების სექტორში დაფიქსირდა, ხოლო ყველაზე დაბალი - მრეწველობის სექტორში, სადაც აღნიშნული მაჩვენებელი უარყოფითია. ამას გარდა, ყველაზე პოზიტიური ბიზნესის მოლოდინი ვაჭრობის სექტორში დაფიქსირდა, ხოლო ყველაზე ნაკლებად პოზიტიური - მშენებლობის სექტორში (იხილეთ ცხრილი 1).

ცხრილი 1: საბალანსო მნიშვნელობები სექტორების მიხედვით 2025 წლის III კვარტალში

სექტორი	ბიზნეს კლიმატი	ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობა	ბიზნესის მოლოდინი
ვაჭრობის სექტორი	46.9	32.4	62.2
მომსახურების სექტორი	51.3	41.8	61.1
მრეწველობის სექტორი	22.3	-10.0	60.0
მშენებლობის სექტორი	29.8	40.0	20.0
ყველა სექტორი	43.2	30.6	56.5

2025 წლის III კვარტალში, 2024 წლის III კვარტალთან შედარებით, ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი გაუარესდა მშენებლობის სექტორში 20.1 ქულით და მრეწველობის სექტორში -15.2 ქულით. მაჩვენებელი გაუმჯობესებულია ვაჭრობის სექტორში 4.5 ქულით და მომსახურების სექტორში - 3.7 ქულით.




გრაფიკი 4: ბიზნეს კლიმატი, ბიზნესის მოლოდინი და ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობა ვაჭრობის, მომსახურების, მრეწველობის და მშენებლობის სექტორებში


დასაქმება, გაყიდვები და გაყიდვების ფასები სექტორების მიხედვით

დასაქმება

- 2025 წლის III კვარტალში, გამოკითხულ კომპანიათა 30%-მა განაცხადა, რომ მათთან დასაქმებულთა რაოდენობა იზრდება. რაც შეეხება 2025 წლის IV კვარტალის მოლოდინს, გამოკითხული კომპანიების 33% ელის დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას (იხილეთ გრაფიკი 5), ხოლო 66% არ აპირებს დასაქმებულთა რაოდენობის შეცვლას.
- სექტორებს შორის, 2025 წლის III კვარტალის მდგომარეობით, დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა ყველაზე მეტად ვაჭრობის სექტორში ფიქსირდება. რაც შეეხება 2025 წლის IV კვარტალის მოლოდინს, დასაქმებულთა რაოდენობის ზრდის შესახებ, ყველაზე პოზიტიური შეფასებით აქვს ვაჭრობის სექტორი გამოირჩევა (იხილეთ გრაფიკი 6).



გრაფიკი 5: დასაქმებულთა რაოდენობა BAG-ის წევრ და მათ ჯგუფში შემავალ კომპანიებში⁴




გრაფიკი 6: დასაქმებულთა რაოდენობა ვაჭრობის, მომსახურების, მრეწველობის და მშენებლობის სექტორებში

⁴ დამრგვალების გამო ანგარიშში მოცემულ ზოგიერთ გრაფიკზე მონაცემთა ჯამი ზუსტად 100%-ის ტოლი არ არის.

გაყიდვები/მოთხოვნა/ადგილობრივი წარმოება


- 2025 წლის III კვარტალში, გამოკითხულ კომპანიათა 55%-მა დააფიქსირა გაყიდვების ზრდა. რაც შეეხება 2025 წლის IV კვარტალის მოლოდინს, გამოკითხული კომპანიების 62% ფიქრობს, რომ მოთხოვნა გაიზრდება, ხოლო 32% ამ მხრივ ცვილებას არ მოეწივს.
- გაყიდვების მხრივ, სექტორებს შორის, 2025 წლის III კვარტალის მდგომარეობას ყველაზე პოზიტიურად ვაჭრობის (62%) და მომსახურების სექტორებში (60%) აფასებენ, ხოლო ყველაზე ნაკლებად პოზიტიურად - მშენებლობის სექტორში (33%). 2025 წლის IV კვარტალისთვის ყველაზე პოზიტიური მოლოდინი ვაჭრობის სექტორში (65%) ფიქსირდება (იხილეთ გრაფიკი 7).




გრაფიკი 7: გაყიდვები, ადგილობრივი წარმოება და მოთხოვნა ვაჭრობის, მომსახურების, მრეწველობის და მშენებლობის სექტორებში

გაყიდვების ფასები

- 2025 წლის III კვარტალში გამოკითხული კომპანიების 21%-მა გაზარდა გაყიდვების ფასები. რაც შეეხება 2025 წლის IV კვარტალის მოლოდინს, გამოკითხულ კომპანიათა 19% ვარაუდობს გაყიდვების ფასების ზრდას (იხილეთ გრაფიკი 8).
- სექტორებს შორის, 2025 წლის III კვარტალში ფასების ზრდას პროცენტულად ყველაზე მეტი კომპანია მშენებლობის სექტორში (40%) აფიქსირებს. 2025 წლის IV კვარტალში ფასების ზრდის მოლოდინი ყველაზე მეტად ასევე მშენებლობის სექტორში (32%) ფიქსირდება (იხილეთ გრაფიკი 9).




გრაფიკი 8: გაყიდვების ფასები BAG-ის წევრ და მათ ჯგუფში შემავალ კომპანიებში



გრაფიკი 9: გაყიდვების ფასები ვაჭრობის, მომსახურების, მრეწველობის და მშენებლობის სექტორებში


ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შეშლელი ფაქტორები

2025 წლის III კვარტალში, 2025 წლის II კვარტალთან შედარებით, გაიზარდა იმ კომპანიების წილი (4 პროცენტული პუნქტით), რომლებიც თვლიან, რომ მათი ბიზნესსაქმიანობისთვის არსებობს ხელის შეშლელი ფაქტორები.



გრაფიკი 10: ბიზნესისთვის ხელის შემშლელი ფაქტორების არსებობა

2025 წლის III კვარტალში, ბიზნესსაქმიანობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ხელის შემშლელი ხუთი ფაქტორია: სპეციალისტების ნაკლებობა, სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები, სამუშაო ძალის ნაკლებობა, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა⁵ და მოთხოვნის სიმცირე (იხილეთ გრაფიკი 11).




გრაფიკი 11: ძირითადი ხელის შემშლელი ფაქტორები გამოკითხული კომპანიებისთვის 2025 წლის III კვარტალში


სექტორებისა და საწარმოთა ზომის მიხედვით, 2025 წლის III კვარტალში:

- ✖ **სპეციალისტების ნაკლებობა** ყველაზე მწვავედ იგრძნობა მშენებლობის სექტორში (82%) და მცირე ზომის კომპანიებში (42%).
- ✖ **სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები** თითქმის თანაბრად აწუხებს საშუალო და მსხვილი ზომის კომპანიებს (37-38%), განსაკუთრებით კი მომსახურების სექტორს (64%).
- ✖ **სამუშაო ძალის ნაკლებობა** ყველაზე მეტად მშენებლობის სექტორში (82%) დგას, რაც ყველა ზომის კომპანიაში თანაბრად პრობლემურია.
- ✖ **ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა** განსაკუთრებით პრობლემურია ვაჭრობის სექტორში (40%) და მცირე ბიზნესისთვის (27%).
- ✖ **მოთხოვნის სიმცირე** მრეწველობის და ვაჭრობის სექტორს (25-25%) თანაბრად აწუხებს, თუმცა, მშენებლობის სექტორში ეს პრობლემა საერთოდ არ აღინიშნება.

⁵ ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა, როგორც ერთერთი ხელის შემშლელი ფაქტორი ბიზნესისთვის, ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელი ფაქტორების შესახებ არსებულ კითხვარს 2021 წლის IV კვარტალში დაემატა.



გრაფიკი 12: ძირითადი ხელის შემშლელი ფაქტორები გამოკითხული კომპანიებისთვის სექტორების მიხედვით 2025 წლის III კვარტალში




გრაფიკი 13: ძირითადი ხელის შემშლელი ფაქტორები გამოკითხული კომპანიებისთვის საწარმოთა ზომის მიხედვით 2025 წლის III კვარტალში


ხელის შემშლელ ფაქტორებს შორის, წინა კვარტალთან შედარებით, ყველაზე მეტად სამუშაო ძალის ნაკლებობის პრობლემა გამძაფრდა (9 პროცენტული პუნქტით), ხოლო ყველაზე მეტად ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობის პრობლემა შემსუბუქდა (6 პროცენტული პუნქტით) (იხილეთ გრაფიკი 14).

**ბიზნესაქმიანობისთვის ხელის შეშლელი ძირითადი ფაქტორები
IV კვ. 2019 – III კვ. 2025**


**ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის
არასტაბილურობა**




**სამართლებრივი და
ადმინისტრაციული ბარიერები**




სპეციალისტების ნაკლებობა




მოთხოვნის სიმცირე



შეზღუდული ფინანსური რესურსები



სამუშაო ძალის ნაკლებობა




გრაფიკი 14: ძირითადი ხელის შეშლელი ფაქტორები გამოკითხული კომპანიებისთვის

ბიზნესისთვის სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერების განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორები

2025 წლის III კვარტალში სამართლებრივ და ადმინისტრაციულ ბარიერებს შორის კომპანიათა უმეტესობამ ყველაზე ხელის შემშლელ ფაქტორად **მარეგულირებელი გარემო** მიიჩნია. სექტორებს შორის მარეგულირებელი გარემო ხელის შემშლელ ფაქტორად ყველაზე ხშირად მშენებლობის სექტორში დასახელდა, ხოლო ყველაზე იშვიათად - მომსახურების სექტორში.




სამართლებრივ და ადმინისტრაციულ ბარიერებს შორის მეორე ადგილს **ადმინისტრაციული საკითხები** იკავებს. აღნიშნული ფაქტორი ყველაზე მეტად ხელის შემშლელად დასახელდა მშენებლობის სექტორში, ხოლო ყველაზე იშვიათად - ვაჭრობის სექტორში.

რაც შეეხება **სასამართლო სისტემას**, აღნიშნული ფაქტორი ყველაზე მეტად ხელის შემშლელად დაფიქსირდა მომსახურების სექტორში, ხოლო ყველაზე ნაკლებად - მშენებლობის სექტორში.



გრაფიკი 15: ძირითადი ხელის შემშლელი სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები გამოკითხული კომპანიებისთვის

მთლიანობაში, წინა კვარტალთან შედარებით, გაზრდილია იმ კომპანიათა წილი, რომელიც მარეგულირებელ გარემოს ასახელებდა ხელის შემშლელად (9 პროცენტული პუნქტით), ხოლო შემცირებულია იმ კომპანიათა წილი, რომელიც ადმინისტრაციულ საკითხებსა და სამართლებრივ სისტემას ასახელებდა ხელის შემშლელად (2-2 პროცენტული პუნქტით).




გრაფიკი 16: ძირითადი ხელის შემშლელი სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები გამოკითხული კომპანიებისთვის.

დაფინანსება

2025 წლის III კვარტალში, დაფინანსების მოძიება სცადა გამოკითხულ კომპანიათა 50%-მა, რაც წინა კვარტალთან შედარებით 5 პროცენტული პუნქტით შემცირებული მაჩვენებელია (იხილეთ გრაფიკი 17). საწარმოს ზომის მიხედვით, ბიზნესისთვის დაფინანსების მოძიება უფრო მეტად მსხვილმა (55%) და საშუალო (49%) საწარმოებმა სცადეს, შედარებით ნაკლებად კი მცირე (41%) საწარმოებმა.


**კომპანიათა წილი, რომელთაც სცადეს დაფინანსების მოძიება
აღნიშნულ პერიოდში**



გრაფიკი 17: დაფინანსების მოძიება

2025 წლის III კვარტალში მათგან, ვინც ბოლო პერიოდში დაფინანსების მოძიება სცადა, 25% აცხადებს, რომ ფინანსებზე წვდომა პრობლემას წარმოადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი წინა კვარტალთან შედარებით 5 პროცენტული პუნქტით შემცირდა (იხილეთ გრაფიკი 18). ფინანსებზე წვდომის პრობლემა უფრო ხშირად მცირე ზომის საწარმოებში დაფიქსირდა (45% იმ საწარმოთაგან, რომლებმაც სცადეს დაფინანსების მოძიება), ხოლო შედარებით ნაკლებად მსხვილი (23%) და საშუალო (18%) ზომის საწარმოებში.

წარმოადგენს თუ არა ფინანსებზე წვდომა პრობლემას თქვენი ბიზნესისთვის?




გრაფიკი 18: ფინანსებზე წვდომა⁶

რაც შეეხება ბიზნესის დაფინანსების წყაროებს⁷, 2025 წლის III კვარტალში კომპანიათა უმეტესობის (67%) განცხადებით, ისინი ფინანსდებიან ადგილობრივი წყაროებიდან. ამასთან, 2025 წლის III კვარტალში იმ კომპანიათა პროცენტული წილი, რომლებიც როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური წყაროებიდან ფინანსდებიან, წინა კვარტალთან შედარებით 3 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 26% შეადგინა.

⁶ კითხვას პასუხი გასცა გამოკითხულთა მხოლოდ იმ ნაწილმა, რომელმაც უკანასკნელ პერიოდში სცადა ფინანსების მოძიება.


⁷ 2021 წლის I კვარტალში ინდექსის მეთოდოლოგიაში განხორციელებულმა ცვლილებამ (გამოსაკითხი კომპანიების ბაზის გაზრდამ) გავლენა იქონია ბიზნესის დაფინანსების წყაროების სტრუქტურაზე. სხვა მაჩვენებლებზე მეთოდოლოგიურ ცვლილებას არსებითი გავლენა არ ჰქონია.



გრაფიკი 19: დაფინანსების წყაროები

მოლოდინი გაცვლითი კურსის შესახებ

2025 წლის III კვარტალში, გამოკითხულ კომპანიათა უმრავლესობა (70%) არ ელის მომავალ 6 თვეში ლარის აშშ დოლართან გაცვლითი კურსის ცვლილებას. იმ კომპანიების წილი, რომლებიც ლარის გაუფასურებას ელიან 19%-ია, ხოლო მათი, ვინც გამყარებას მოეწონება - 10%. აღსანიშნავია, რომ წინა კვარტალთან შედარებით, 10 პროცენტული პუნქტით შემცირდა იმ კომპანიების წილი, რომლებიც მომდევნო 6 თვეში ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებას არ ელიან, ხოლო 8 პროცენტული პუნქტით გაიზარდა იმ კომპანიების წილი, რომლებსაც მომდევნო 6 თვეში ლარის აშშ დოლართან გაცვლითი კურსის გაუფასურების მოლოდინი აქვთ.




გრაფიკი 20: ლარის აშშ დოლართან გაცვლითი კურსის ცვლილების მოლოდინი

BAG დასაქმების ბარომეტრი

BAG დასაქმების ბარომეტრი ასახავს კომპანიების მოლოდინს მომავალ სამ თვეში დასაქმების სავარაუდო ცვლილების შესახებ.⁸

2025 წლის III კვარტალში გამოკითხულ კომპანიებს მომავალ სამ თვეში დასაქმების მიმართულებით დადებითი მოლოდინი აქვთ. BAG-ის დასაქმების ბარომეტრმა 32.4 ქულა შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი წინა კვარტალთან შედარებით 0.8 ქულით, ხოლო 2024 წლის III კვარტალთან შედარებით 3.5 ქულით გაუმჯობესდა.







გრაფიკი 21: BAG დასაქმების ბარომეტრი

2025 წლის III კვარტალში დასაქმების ბარომეტრის მაჩვენებელი ყველა სექტორში დადებითია. 2025 წლის III კვარტალში წინა კვარტალთან შედარებით, დასაქმების ბარომეტრის მაჩვენებელი გაუმჯობესდა მომსახურების (10.5 ქულით), ვაჭრობის (2.6 ქულით) და მრეწველობის (2.4 ქულით) სექტორებში, ხოლო გაუარესდა მშენებლობის (34.5 ქულით) სექტორში (იხილეთ გრაფიკი 22).

⁸ კომპანიებს შეუძლიათ, დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ არსებული მომდევნო სამი თვის გეგმები აღწერონ, როგორც „ზრდა“, „სტაბილური“ ან „კლებადი“. ამ გეგმების საბალანსო მნიშვნელობა გამოითვლება პასუხების - „ზრდა“-სა და „კლებადი“-ს პროცენტულ წილებს შორის სხვაობით. BAG დასაქმების ბარომეტრი არის სექტორების საბალანსო მნიშვნელობების შეწონილი საშუალო. BAG დასაქმების ბარომეტრის მნიშვნელობა შესაძლოა იყოს -100-დან +100-მდე. -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მომდევნო სამი თვის განმავლობაში მოელის დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებას, ხოლო +100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მომდევნო სამი თვის განმავლობაში მოელის დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას.


ცხრილი 2: დასაქმების ბარომეტრი. საბალანსო მნიშვნელობები სექტორის მიხედვით

სექტორი	IV კვ. 2019	I კვ. 2020	II კვ. 2020	III კვ. 2020	IV კვ. 2020	I კვ. 2021	II კვ. 2021	III კვ. 2021	IV კვ. 2021	I კვ. 2022	II კვ. 2022	III კვ. 2022	IV კვ. 2022	I კვ. 2023	II კვ. 2023	III კვ. 2023	IV კვ. 2023	I კვ. 2024	II კვ. 2024	III კვ. 2024	IV კვ. 2024	I კვ. 2025	II კვ. 2025	III კვ. 2025
ვაჭრობა	33.3	-45	5.6	12.5	-23.5	2.8	18.2	21.6	25.0	32.4	34.3	26.8	22.6	33.3	41.0	44.7	30.6	45.5	9.4	39.4	34.5	29.0	40.6	43.2
მომსახურება	14.6	-41.7	0	-5	-8	17.6	34.8	-2.3	11.1	15.6	19.6	25.6	26.2	27.9	31.0	35.9	20.0	38.9	20.5	22.0	18.8	20.0	22.2	32.7
მრეწველობა	11.1	-25	0	16.7	20	17.6	33.3	21.4	21.4	29.4	40.0	20	23.1	25.0	45.5	50.0	50.0	28.6	12.5	20.0	30.0	23.5	17.6	20.0
მშენებლობა	50	-80	-28.6	14.3	-33.3	30.8	12.5	27.3	50.0	37.5	27.3	50	63.6	68.8	81.8	63.6	40.0	70.0	47.1	35.7	30.8	16.7	54.5	20.0
BAG	26.1	-46.7	-2.8	6.2	-13.7	14.7	27.4	11.7	20.5	24.9	27.7	28.1	29.1	34.0	41.9	43.9	29.2	43.3	19.1	28.9	27.0	23.0	31.6	32.4







გრაფიკი 22: BAG დასაქმების ბარომეტრი სექტორების მიხედვით

დასაქმებულთა რაოდენობასთან ერთად, მნიშვნელოვანია, გავანალიზოთ კომპანიებში დასაქმებულთა ანაზღაურების დინამიკაც. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, 2025 წლის III კვარტალში კომპანიათა 23%-მა გაზარდა დასაქმებულთა ხელფასები, რაც ჩამორჩება როგორც წინა კვარტალის მაჩვენებელს, ასევე წინა წლის შესაბამისი კვარტალის მაჩვენებელს. ხოლო 2025 წლის IV კვარტალში დასაქმებულთა ანაზღაურების ზრდას კომპანიათა 21% გეგმავს (იხილეთ გრაფიკი 23).



გრაფიკი 23: დასაქმებულთა ანაზღაურება


სექტორების მიხედვით, 2025 წლის III კვარტალში, კომპანიათა ყველაზე დიდმა ნაწილმა მშენებლობის სექტორში (33%) გაზარდა დასაქმებულთა ანაზღაურება. 2025 წლის IV კვარტალში დასაქმებულთა ანაზღაურების ზრდას კომპანიათა ყველაზე დიდი წილი ვაჭრობის სექტორში (30%) გეგმავს (იხილეთ გრაფიკი 24).



■ გაზრდა ■ უცვლელი ■ შემცირება

გრაფიკი 24: დასაქმებულთა ანაზღაურება ვაჭრობის, მომსახურების, მრეწველობის და მშენებლობის სექტორებში

გამოკითხულ კომპანიათა შორის, მათ ვინც 2025 წლის III კვარტალში თანამშრომელთა ხელფასების ზრდა დააფიქსირა, უმრავლესობამ (93%) დასაქმებულთა ანაზღაურება 0-20%-ით გაზარდა, ხოლო დანარჩენმა კომპანიებმა (7%) დასაქმებულთა ანაზღაურება 21-40%-ით გაზარდეს.



გრაფიკი 25: დასაქმებულთა ანაზღაურების % ზრდა


BAG ინვესტიციების კვლევა

ინვესტიციების კვლევის ფარგლებში, რომელიც ტარდება წელიწადში ორჯერ, პიემსი კვლევითი ცენტრი აგროვებს მონაცემებს ინვესტიციების ტენდენციების შესახებ. აღნიშნული კვლევისთვის გამოკითხული კომპანიები იყოფა ოთხ სექტორად (როგორც BAG ბიზნეს კლიმატის შემთხვევაში): ვაჭრობა, მომსახურება, მრეწველობა და მშენებლობა. 2025 წლის III კვარტალში ჩატარებულმა კვლევამ შეაჯამა BAG-ის წევრებისა და მათ ჯგუფში შემავალი კომპანიების მიერ 2024 წელს განხორციელებული ინვესტიციები და მათი გეგმები 2025 წლისთვის.

საინვესტიციო გარემო 2024 წელს

მთლიანობაში, გამოკითხული კომპანიების 65%-მა განაცხადა, რომ 2024 წელს, 2023 წელთან შედარებით, მათ მიერ განხორციელებული ჯამური ინვესტიციების მოცულობა გაიზარდა. ამასთან, გამოკითხული კომპანიების 26%-მა განაცხადა, რომ აღნიშნულ პერიოდში მათ მიერ განხორციელებული ჯამური ინვესტიციების მოცულობა უცვლელი დარჩა, ხოლო დანარჩენი 9%-ისთვის შემცირდა.

ჯამურად განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა 2024 წელს, 2023 წელთან შედარებით



გრაფიკი 26: საინვესტიციო გარემო 2024 წელს

აღსანიშნავია, რომ მომსახურების სექტორში კომპანიათა 76%-ის განცხადებით, 2024 წელს, 2023 წელთან შედარებით, ჯამური ინვესტიციები გაიზარდა, რაც სექტორებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ვაჭრობის სექტორში ჯამური ინვესტიციების ზრდა კომპანიათა 61%-მა დააფიქსირა, მშენებლობის სექტორში კომპანიათა 53%-მა, ხოლო მრეწველობის სექტორში - 44%-მა (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ გრაფიკები 28, 29, 30 და 31).

რაც შეეხება ინვესტიციების შემცირებას, მრეწველობის სექტორში კომპანიათა 19%-ის განცხადებით, 2024 წელს, 2023 წელთან შედარებით, ჯამური ინვესტიციები შემცირდა. ვაჭრობის სექტორში მოცემულ პერიოდში ჯამური ინვესტიციების შემცირება კომპანიათა 11%-მა დააფიქსირა, ხოლო მომსახურების სექტორში - 5%-მა. აღსანიშნავია, რომ მშენებლობის სექტორში არცერთ გამოკითხულ კომპანიას ჯამური ინვესტიციები არ შემცირებია.

2024 წელს, კომპანიების ყველაზე დიდმა წილმა გაზარდა ინვესტიციები მანქანა-დანადგარებსა და აღჭურვილობაში (64%), შემდეგ, პროგრამულ უზრუნველყოფაში/მონაცემთა ბაზებში (59%) და შენობა-ნაგებობებში (47%).

სექტორების მიხედვით, მანქანა-დანადგარებსა და აღჭურვილობაში განხორციელებული ინვესტიციების მიხედვით, პროცენტულად ყველაზე მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა მომსახურების სექტორში, სადაც კომპანიების 69%-მა გაზარდა ინვესტიციები აღნიშნული მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ პროგრამულ უზრუნველყოფაში/მონაცემთა ბაზებში (73%) და შენობა-ნაგებობებში (55%) ინვესტიციების ზრდის მიხედვითაც მომსახურების სექტორი გამოირჩეოდა.


საინვესტიციო გეგმები 2025 წელს

2025 წლის საინვესტიციო გეგმის შესაფასებლად 2025 წლის I კვარტალში ჩატარდა ინვესტიციების კვლევა, ხოლო 2025 წლის III კვარტალში მოხდა ამ პროგნოზის განახლება.

2025 წლის III კვარტალში გამოკითხული კომპანიების 66%-მა განაცხადა, რომ 2025 წელს, 2024 წელთან შედარებით, მათ მიერ ჯამურად განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა გაიზრდება. ამავედროულად, გამოკითხული კომპანიების 28% ჯამურად განხორციელებულ ინვესტიციებში ცვლილებას არ მოელოს, ხოლო 6% მოელოს ინვესტიციების კლებას.

აღსანიშნავია, რომ 2025 წლის III კვარტალში, 2025 წლის I კვარტალთან შედარებით, მცირედით გაუმჯობესებულია საინვესტიციო პროგნოზები 2025 წლისთვის, კერძოდ, ნაცვლად კომპანიების 64%-ისა, რომელიც გეგმავდა ინვესტიციების ზრდას 2025-ში, ახლა 66% გეგმავს ინვესტიციების გაზრდას. სექტორების მიხედვით, ინვესტიციების პროგნოზი ყველაზე მეტად (7 პროცენტული პუნქტით) ვაჭრობის სექტორში გაიზარდა, კერძოდ, 2025 წლის I კვარტალში კომპანიათა 61% თვლიდა, რომ 2025-ში გაიზრდებოდა მათი ინვესტიციები, ხოლო III კვარტალში - 68%.

მოსალოდნელია რომ ჩვენ მიერ განხორციელებული ინვესტიციები 2025 წელს, 2024 წელთან შედარებით




გრაფიკი 27: კომპანიების 2025 წლის საინვესტიციო გეგმები


სექტორებს შორის, ყველაზე ოპტიმისტური მოლოდინი 2025 წელს ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებით მომსახურებისა და ვაჭრობის სექტორში ფიქსირდება. მომსახურების სექტორში გამოკითხულ კომპანიათა 70% გეგმავს ჯამური ინვესტიციების ზრდას, ხოლო ვაჭრობის სექტორში ინვესტიციების ზრდის მოლოდინი გამოკითხულ კომპანიათა 68%-ს აქვს. ამასთანავე, მრეწველობის სექტორში კომპანიათა 47% გეგმავს ჯამური ინვესტიციების ზრდას, ხოლო მშენებლობის სექტორში - 40%.

2025 წელს ინვესტიციების ზრდასთან დაკავშირებით, დადებითი პროგნოზები უფრო მეტად დაფიქსირდა ალტურვილობის მიმართულებით, ხოლო შედარებით ნაკლები შენობა-ნაგებობებისა და პროგრამული უზრუნველყოფის/მონაცემთა ბაზების კუთხით. გამოკითხულთა 66% მოელოს, რომ 2025 წელს მათი ინვესტიციები გაიზრდება ალტურვილობაში. მსგავსი მოლოდინი პროგრამული უზრუნველყოფის/მონაცემთა ბაზების მიმართულებით 60%-ს აქვს, ხოლო გამოკითხულთა 50% ფიქრობს, რომ 2025 წელს მათ მიერ შენობა-ნაგებობებში განხორციელებული ინვესტიციები გაიზრდება.

აღსანიშნავია, რომ სექტორების მიხედვით, ალტურვილობისა და პროგრამული უზრუნველყოფის/მონაცემთა ბაზების მიმართულებით ყველაზე დადებითი პროგნოზები ფიქსირდება მომსახურებისა და ვაჭრობის სექტორებში. კერძოდ, აღნიშნულ ორ სექტორში გამოკითხულ კომპანიათა 68-69% აპირებს გაზარდოს ინვესტიციები ალტურვილობაში, ხოლო პროგრამულ უზრუნველყოფაში/მონაცემთა ბაზებში - 59-59%. სექტორებს შორის, ვაჭრობის სექტორში ფიქსირდება ყველაზე პოზიტიური მოლოდინი შენობა-ნაგებობებში ინვესტიციების ზრდის მიმართულებით (55%).




გრაფიკი 28: საინვესტიციო გარემო 2022-2024 წლებში და საინვესტიციო გეგმები 2025 წელს ვაჭრობის სექტორში (ცვლილება წინა წელთან შედარებით)⁹




გრაფიკი 29: საინვესტიციო გარემო 2022-2024 წლებში და საინვესტიციო გეგმები 2025 წელს მომსახურების სექტორში (ცვლილება წინა წელთან შედარებით)

⁹ დამრგვალების გამო ანგარიშში მოცემულ ზოგიერთ გრაფიკზე მონაცემთა ჯამი ზუსტად 100%-ის ტოლი არ არის.


* მოლოდინი



გრაფიკი 30: საინვესტიციო გარემო 2022-2024 წლებში და საინვესტიციო გეგმები 2025 წელს მრეწველობის სექტორში (ცვლილება წინა წელთან შედარებით)



გრაფიკი 31: საინვესტიციო გარემო 2022-2024 წლებში და საინვესტიციო გეგმები 2025 წელს მშენებლობის სექტორში (ცვლილება წინა წელთან შედარებით)



კონტაქტი:

გ. ლეონიძის ქ. 2, თბილისი, საქართველო

☎ +995 32 2 202-215

✉ info@bag.ge

f Business Association of Georgia

www.bag.ge